

სტრატეგიული ხედვა

პოლიტიკის დოკუმენტი - კონცეფცია

სამუშაო ვერსია

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის განვითარების შესახებ მსჯელობა. 2008-2009 წლებიდან, განცდილი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების ფონზე, ამ საკითხის გარშემო დისკუსია კიდევ უფრო გაძლიერდა. აღსანიშნავია, რომ სოციალური მეწარმეობა, როგორც სოციალური ეკონომიკის შემადგენელი, ევროპული პოლიტიკური დისკურსის ნაწილად სწორედ ამ წლებში ყალიბდება¹ და სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ცნებები თანდათანობით იკიდებს ფეხს სხვადასხვა ოფიციალურ პოლიტიკურ თუ სამართლებრივ დოკუმენტებში. დღესდღეობით სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმოები ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრალური საკითხია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა „ევროპა 2020“ სტრატეგიის ფარგლებში, რომელშიც საუბარია „გონივრულ, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე“.² ამავე სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სოციალური საწარმოები წარმოადგენს ევროპული სოციალური მოდელის მნიშვნელოვან ელემენტს, სოციალური მიზნების მიღწევის გზაზე. უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ქვეყნებში აქტიურად დაიწყო სოციალური ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობისათვის პოლიტიკური ჩარჩოს განსაზღვრა, რომელიც აისახა კიდევ წვერი ქვეყნების მთელ რიგ პოლიტიკის დოკუმენტებსა და განვითარების სტრატეგიებში.³

სოციალური მეწარმეობის განვითარება საქართველოშიც დაახლოებით 2010-იანი წლებიდან იწყება⁴ და დღემდე საკმაოდ მზარდი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმოების შესახებ სტატისტიკის წარმოების სირთულეებიდან გამომდინარე, ზუსტი მონაცემების მოშველიება შეუძლებელია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათი წვლილი საზოგადოების მწვავე სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევაში თანდათანობით უფრო ხელშესახები ხდება.

აქვე აღსანიშნავია ის სამწუხარო ტენდენცია, რომ საქართველოში სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის ცნების გარშემო მსჯელობა დღემდე ვერ გახდა საჯარო პოლიტიკური დისკუსიის საგანი. შესაბამისად, სოციალური ეკონომიკის მნიშვნელობა და პოტენციალი ნაკლებად

¹Public Policy in the Social and Solidarity Economy: Towards the Favourable Environment, The case of Europe, Giulia Galera and Gianluca Salvatori, International Labour Organization, 2015, pg. 6

² Europe 2020, A European Strategy for smart, sustainable and inclusive growth, Brussels, 2010.

³სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა: ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა, ეკატერინე დანელია, მარიამ ლაცაბიძე, ნინო სამსონიძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ. 2

⁴Social Economy in Eastern Neighbourhood and Western Balkans, Country Report – Georgia, Andreja Rosandic, Giorgi Arsenidze, Salome Khutsishvili, February, 2018, pg. 6

გაცნობიერებულია, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი აქტორების მიერ. ქართულ რეალობაში სოციალური ეკონომიკის ძირითად აგენტებად სოციალური საწარმოები გვევლინებიან, რომელთა უმრავლესობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით, არსებული სოციალური საწარმოების რიცხვი თითქმის 100-ს უტოლდება,⁵ სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ცნებების განმარტება არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ გვხვდება. შესაბამისად, ამ სფეროს განვითარებისთვის მოქმედი ორგანიზაციები, საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, ინდივიდუალურად განმარტავენ სოციალურ საწარმოს და შეჯერებული დეფინიცია, ფაქტობრივად, არ არსებობს.

კონცეფციის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კონცეფციის (პოლიტიკის დოკუმენტის) მიზანია დაიწყოს და განავითაროს მსჯელობა, სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის, სახელმწიფოს მხარდაჭერი როლის შესახებ, მოკლედ მიმოიხილოს საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპული კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტებს შესთავაზოს რეკომენდაციები, რაც დაეხმარება მათ სოციალური მეწარმეობისა და საწარმოების განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შესაქმნელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში.

კონცეფციის პირველი თავი მოკლედ აღწერს სახელმწიფოს როლის მნიშვნელობასა და მხარდაჭერის აუცილებლობას, სოციალური მეწარმეობის ხელსაყრელი ეკოსისტემის ჩამოყალიბებისთვის. მეორე თავი მიმოიხილავს სახელმწიფოს მხარდაჭერის ევროპულ პრაქტიკას, ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების პოლიტიკური თუ სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ხოლო მესამე თავი განიხილავს სოციალური მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და გვთავაზობს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლის მთავარი ადრესატიც სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი პოლიტიკაა.

საგულისხმოა, რომ კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ ერთის მხრივ, სხვადასხვა პროფილის მქონე სოციალური საწარმოები,⁶ ხოლო მეორეს მხრივ, ის ორგანიზაციები, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა სოციალური მეწარმეობის განვითარებისკენ არის მიმართული. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში მოხმობილი არგუმენტები და მსჯელობა, დიდწილად ეყრდნობა მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი, საქართველოში არსებული მდგომარეობისა და ევროპული პრაქტიკის მიმოხილვისას, სრულად ეყრდნობა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ

⁵სოციალური მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა, ეკა დათუაშვილი, საქართველოს სტრატეგიული განვითარების და კვლევების ცენტრი, 2020, გვ. 4

⁶შენიშვნა: აქ შეიძლება რაოდენობა დავაკონკრეტოთ, ვორქშოფებსა და ფორუმზე მონაწილეების, მოგვიანებით.

მომზადებულ ნაშრომებს.

წინამდებარე კონცეფციის სამიზნე აუდიტორიად, ძირითადად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კვლევით ინსტიტუტებს, სოციალურ მეწარმეებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოვიაზრებთ. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს სოციალური მეწარმეობის განვითარების შესახებ უფრო ფართო და საჯარო მსჯელობას, გააჩენს ახალ მხარდამჭერ ინიციატივებს და შეძლებს სხვადასხვა აქტორის მობილიზაციას ამ საკითხის გარშემო. შესაბამისად, დოკუმენტში შემოთავაზებული რეკომენდაციები, დიდწილად, ამ თემის ირგვლივ უფრო სიღრმისეული პოლიტიკური დისკუსიის დაწყებას ისახავს მიზნად. ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, კონკრეტული ინსტრუმენტებისა და ნაბიჯების უკეთ წარმოსადგენად, მნიშვნელოვანია, უფრო ფართო კვლევისა და შეჯერებული ხედვის არსებობა.

ძირითადი დეფინიციები

როგორც უკვე აღინიშნა, სოციალური ეკონომიკის, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ცნებების შესახებ ერთიანი და შეჯერებული დეფინიცია არ არსებობს. შესაბამისად, ამ კონცეფციის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ თითოეული და შემოთავაზებული განმარტებების საფუძველზე განვავითაროთ მსჯელობა. აღნიშნული დეფინიციები ამოკრებილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული კვლევებისა და მიმოხილვის დოკუმენტებიდან.⁷

სოციალური ეკონომიკა

სოციალური ეკონომიკის უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს. შესაბამისად, მისი განმარტებისას უფრო მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა არ არის სოციალური ეკონომიკა და რითი განსხვავდება ის სხვა ტიპის ეკონომიკური აქტივობისაგან. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული დეფინიციით, სოციალური ეკონომიკის განსაზღვრებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობით, რაც სოციალური ეკონომიკის აქტორებს განასხვავებს სხვა ტიპის ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე. ეს ელემენტებია: ა) ინდივიდის უპირატესობა - სოციალური ამოცანა უფრო მაღლა დგას, ვიდრე - კაპიტალი. ინდივიდების გაერთიანება საერთო მიზნისა და საჭიროების გარშემო ქმნის კოლექტიურ შედეგს; ბ) სოციალური და ეკონომიკური ბალანსი - სოციალური ეკონომიკის აქტორები (როგორებიცაა: სოციალური საწარმოები, სოციალური კოოპერატივები, ასოციაციები, ფონდები და სხვ.) საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას

⁷სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა: ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა, ეკატერინე დანელია, მარიამ ლაცაბიძე, ნინო სამსონიძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, ხელმისაწვდომია: http://civilin.org/pdf/Social_Enterprises_and_their_Ecosystem.pdf
სოციალური მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა, ეკა დათუაშვილი, საქართველოს სტრატეგიული განვითარების და კვლევების ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: http://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf

სოციალური მიზნებიდან ამოდიან; გ) მდგრადი განვითარება - სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა საბოლოო მიზნად არ მოიაზრებს მოგების მიღებასა და მის განაწილებას მესაკუთრეებს შორის, არამედ საერთო, სოციალური სარგებლის მიღებისათვის იღწვის; დ) დემოკრატიული მმართველობა და თანამფლობელობა - სოციალური ეკონომიკის აქტორები გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ დემოკრატიული, გამჭვირვალე და მონაწილეობითი პრინციპებით და აჩენენ ინდივიდუალური და კოლექტიური საკუთრების განცდას.⁸

სოციალური მეწარმეობა

არასამეწარმეო სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL) თავის კვლევებში განიხილავს სოციალური მეწარმეობის სამ ძირითად კრიტერიუმს, რომელიც ეყრდნობა ევროკომისიის მიერ შემუშავებულ დეფინიციას.⁹ ესენია: 1) მმართველობითი; 2) ეკონომიკური; 3) სოციალური. ამ სამი კრიტერიუმის კუმულატიურად არსებობა განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის ძირითად კონცეფციას. თითოეული მათგანი შემდეგნაირადაა განმარტებული:

1. მმართველობითი - სოციალური საწარმო მოხალისეობრივად დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებელად. ამ უკანასკნელში იგულისხმება, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწარმოს საქმიანობა სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული, იგი უნდა ინარჩუნებდეს დამოუკიდებლობას.

მმართველობითი კრიტერიუმი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დემოკრატიულობასაც. კერძოდ, ძალაუფლება არ უნდა განაწილდეს წილისა და აქციების მიხედვით, არამედ მმართველობა უნდა განხორცილდეს პრინციპით - „ერთი წევრი, ერთი ხმა“;

2. სოციალური - გულისხმობს გამოკვეთილი სოციალური მიზნების არსებობას, რომელიც სიკეთის მომტანია პირის ან პირთა ჯგუფისათვის. იგი უნდა მისწრაფვოდეს სოციალური მიზნების და არა მოგების მიღებისაკენ; იგი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი სიკეთის მოტანას და არა კონკრეტული პირის მოგებას;

3. ეკონომიკური - სოციალური საწარმოები ჩართული უნდა იყვნენ ეკონომიკურ საქმიანობაში წარმოების ან სერვისის გაყიდვის გზით.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმო შეიძლება, აერთიანებდეს მოხალისეებს, ის არ უნდა იდგეს მოხალისეობრივ საწყისებზე და უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი დასაქმებული მაინც, რათა მივიჩნიოთ სოციალურ საწარმოდ.

⁸Social Economy, Study for the IMCO Committee, Europarlament, 2015, pg. 25, available at:

[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/578969/IPOL_STU\(2016\)578969_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/578969/IPOL_STU(2016)578969_EN.pdf)

⁹European Center for Not-for-Profit Law: Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, 2015, available at: <https://www.icnl.org/post/assessment-and-monitoring/comparative-analysis-of-the-regulatory-framework-for-social-enterprises-in-europe>

¹⁰Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

სოციალური საწარმო

სოციალური საწარმო სოციალური ეკონომიკის ოპერატორია, რომლის მთავარი მიზანია სოციალური გავლენის შექმნა, ნაცვლად მფლობელებისათვის მოგების უზრუნველყოფისა. ის საქონელს ან მომსახურებას აწვდის სამეწარმეო და ინოვაციური გზით და მოგებას, უპირველეს ყოვლისა, იყენებს სოციალური მიზნების მისაღწევად. ის იმართება გამჭვირვალედ, მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომელთა, მომხმარებელთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

სოციალური საწარმო არის ბიზნესი:

- რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ან სოციალური მიზნები, ხშირად სოციალური ინოვაციის მაღალი ხარისხით;
- რომელშიც მოგება უმეტესწილად რეინვესტირდება აღნიშნული სოციალური და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში;
- ორგანიზების ფორმა ან მფლობელობის სისტემა ასახავს საწარმოს მისიას, ეფუძნება დემოკრატიულ და თანამონაწილეობით პრინციპებს ან/და ფოკუსირებულია სოციალურ სამართლიანობაზე.¹¹

სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა

სოციალური საწარმოებისათვის აუცილებელი ეკოსისტემა ოთხ ძირითად საყრდენზე დგას: ხილვადობა და აღიარება; რესურსებზე ხელმისაწვდომობა; კვლევა, განათლება და უნარები; თვითორგანიზების შესაძლებლობები. სწორედ ამ ოთხი ფაქტორის ურთიერთკავშირი ქმნის ხელსაყრელ გარემოს სოციალური საწარმოების განვითარებისათვის.¹²

1. ხილვადობა და აღიარება მოიცავს: პოლიტიკურ, საკანონმდებლო, კერძო აღიარებასა და თვითაღიარებას.

2. რესურსებზე ხელმისაწვდომობა გულისხმობს: გრანტებს სტარტაპებისა და გაერთიანებებისათვის; რესურსებს შემოსავლის მომტანი საქმიანობისგან; უკან დასაბრუნებელ რესურსებს; საგადასახადო შეღავათებსა და ფისკალურ ბენეფიტებს.

3. კვლევა, განათლება და უნარები: კვლევა; განათლება სოციალურ საწარმოებსა და სოციალურ მეწარმეობაზე; უნარ-ჩვევების განვითარება.

4. თვითორგანიზების შესაძლებლობები მოიაზრებს: სამოქალაქო ჩართულობას; ქსელებსა და ორმხრივი მხარდაჭერის მექანიზმებს.¹³

¹¹Social Economy in the EU, Social Enterprises, European Commission, available at:

https://ec.europa.eu/growth/sectors/social-economy/enterprises_en

¹²სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა: ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა, ეკატერინე დანელია, მარიამ ლაცაბიძე, ნინო სამსონიძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, ხელმისაწვდომია: http://civilin.org/pdf/Social_Enterprises_and_their_Ecosystem.pdf

¹³Ibid. pg. 9

სახელმწიფოს როლი სოციალური მეწარმეობის ხელსაყრელი გარემოს განვითარებისთვის

აღნიშნული დოკუმენტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფოს მხარდაჭერი როლისა და მნიშვნელობის ხაზგასმა და სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში, მისი წვლილის უკეთ გაცნობიერება. მაშასადამე, რატომ უჭერს მხარს სხვადასხვა ევროპული მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკა სოციალურ საწარმოებს და სოციალურ მეწარმეობას, ზოგადად:

უპირველესად, მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სოციალური საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური საკითხების გარშემო შექმნილი გამოწვევების მოგვარებაში. ასევე, ისინი ხელს უწყობენ ინკლუზიურ ზრდას, სოციალური ერთობისა და სოლიდარობის გაჩენას, მარგინალიზაციისა და უთანასწორობის შემცირებას, ადგილობრივი სოციალური კაპიტალის განვითარებას, დემოკრატიულ თანამონაწილეობას და კარგი ხარისხის სოციალური მომსახურებების მიწოდებას.¹⁴ მათ, ასევე, მეტი მდგრადობა გამოავლინეს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისისას და მოახერხეს, შეექმნათ უფრო მეტი სამუშაო ადგილი, ვიდრე ამ კრიზისებმა შეიწირა.

ცხრილი #1: სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის მიზეზები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე:¹⁵

სახელმწიფო მხარდაჭერის მიზეზები (rationale)	კონკრეტული მაგალითები
საჯარო მომსახურების ხელმისაწვდომის ნაპრაღის და უთანასწორობის შემცირება	<ul style="list-style-type: none"> უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა (კოლუმბია) საჯარო სერვისების გაფართოება (დიდი ბრიტანეთი)
მომსახურების მიწოდების ხარისხის, ხელმისაწვდომობის და თანასწორობის გაუმჯობესება	<ul style="list-style-type: none"> საჯარო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება (დიდი ბრიტანეთი, აშშ) მომსახურების მიწოდების ღირებულების შემცირება მოსახლეობისთვის (იტალია)
სოციალური კოჰეზიისა და ეკონომიკური სარგებლიანობის ზრდა ეროვნულ დონეზე	<ul style="list-style-type: none"> სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის ხელშეწყობა (პოლონეთი, კანადა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გაძლიერება, სამუშაო ადგილების შექმნა (სამხრეთ კორეა) მდგრადი განვითარების შედეგების გაუმჯობესება (ჩილე)

ეს ყველაფერი საკმარისზე მეტი მიზეზია იმისათვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკამ ხელი შეუწყოს სოციალური საწარმოს შექმნასა და განვითარებას, რომ არაფერი ვთქვათ იმ კვლევებზე, რომელიც აჩვენებს, რომ სოციალური საწარმოების მიერ პროდუქციისა და მომსახურების უზრუნველყოფა წარმოადგენს საჯარო რესურსების მართვის უფრო ეფექტურ და ეფექტიან გზას, საზოგადოების

¹⁴Social Enterprises: What Can Policies Do To Support Them?, Antonella Noya, OECD Senior Policy Analyst.

¹⁵Government Support to the Social Enterprise Sector: Comparative Review of the Policy Frameworks and Tools, Natalia Agapitova, Belén Sanchez and Elaine Tinsley, World Bank Group, June, 2017, pg. 8

საკეთილდღეოდ.¹⁶ ამიტომ საჯარო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სოციალური საწარმოების მხარდაჭერაზე, რაც საშუალებას მისცემს მთავრობას უკეთ შეასრულოს მდგრადი განვითარების მიზნები, დაკავშირებული სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გამკლავებასთან.

ადგილობრივი კონტექსტი

საქართველოს მაგალითზე, ხელისუფლების სხვადასხვა დონის განხილვისას, შესაძლოა, მოვიშველიოთ უფრო ზუსტი და კონტექსტის შესაბამისი არგუმენტები. სოციალური მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის შემთხვევაში:

- საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფო მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებებისა და სხვა საერთაშორისო დონეზე აღებული პასუხისმგებლობების (მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება, OGP-ის ფარგლებში არსებული მიმართულებები) უკეთ შესასრულებლად;
- ეროვნულ დონეზე, სოციალური მეწარმეობის შესახებ სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრა, საერთო ხედვის ჩამოყალიბებას, გადამკვეთი საკითხების უკეთ გაცნობიერებას, ეფექტურ კოორდინაციასა და ამ მიმართულებით არსებული ფრაგმენტული ინიციატივების ერთიანობაში გააზრებას შეუწყობს ხელს;
- ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეზე ამ საკითხის გარშემო მსჯელობა შესაძლოა, დაუკავშირდეს დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში აღნიშნული მიზნებისა და საჯარო ადმინისტრირების რეფორმით გათვალისწინებული ამოცანების უკეთ შესრულებას, მათ შორის, მუნიციპალური სოციალური სერვისების მოწესრიგების კუთხით;
- სექტორულ დონეზე, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა უკეთ გამოკვეთს სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევისთვის სოციალური საწარმოების როლსა და მნიშვნელობას (მაგალითად, გარემოსდაცვითი მიმართულებით);

ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა

2011 წელს ევროკავშირმა დაამტკიცა „სოციალური ბიზნეს ინიციატივა“¹⁷, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური საწარმოების განვითარების მხარდაჭერას მოკლევადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ინიციატივის ერთერთი მიმართულებაა სოციალური საწარმოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებისა და სხვა პროგრამების გამოყენებით.¹⁸ გარდა ამისა, აღნიშნულ დოკუმენტში ფართოდ არის მიმოხილული სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი წინაპირობები, როგორცაა: სოციალური მეწარმეობის მიმართ პოზიტიური ცნობიერების შექმნა, იურიდიული, ფისკალური

¹⁶Social Enterprises: What Can Policies Do To Support Them?, Antonella Noya, OECD Senior Policy Analyst.

¹⁷ხელმისაწვდომია: <https://www.socialeconomy.eu.org/our-work/important-milestones-achieved/>

¹⁸Government Support to the Social Enterprise Sector: Comparative Review of the Policy Frameworks and Tools, Natalia Agapitova, Belén Sanchez and Elaine Tinsley, World Bank Group, June, 2017, pg. 13

და ინსტიტუციონალური საარსებო გარემოს ხელშეწყობა, მდგრადი ფინანსური რესურსების მობილიზაცია და სხვ.

ევროპული პრაქტიკის მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, რომ წევრი სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარების მაჩვენებლით, ასევე, ამ სფეროში არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ტიპისა და სახელმწიფო მხარდაჭერის დონის მიხედვით:

- სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების **პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარების ხარისხი** (მაგალითად, დეფინიციის არსებობა საკანონმდებლო დონეზე) ვარირებს დაწყებული სოციალური საწარმოების სრული გამორიცხვით სამთავრობო დღის წესრიგიდან, დასრულებული ყოვლისმომცველი ლეგალური და ოპერაციული ტერმინების ასახვით ოფიციალურ დოკუმენტებში.
- **სახელმწიფო მხარდაჭერა** სოციალური საწარმოებისა და მისი ეკოსისტემის მიმართ (პირდაპირი და არაპირდაპირი ზომები) ასევე განსხვავებულია ამ ქვეყნებს შორის, ჩანასახში არსებული სისტემიდან დაწყებული, ჰოლისტური, გრძელვადიანი ხედვისა და სტრატეგიის არსებობის ჩათვლით.
- სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოებისთვის **ხელსაყრელი პირობების არსებობა** (იმ ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც ზრუნავენ სოციალური საწარმოების შესაძლებლობების განვითარებაზე, საჯარო-კერძო დიალოგის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაზიარება, ბაზრის შექმნა, დაფინანსების არსებობა, სოციალური მეწარმეობის სექტორის კოორდინაცია და ა.შ.), ასევე განსხვავდება ძალიან შეზღუდული ხელმისაწვდომობიდან, ფართო შესაძლებლობების არსებობამდე.¹⁹

ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგადად, სოციალური საწარმოების განვითარების დონის მიხედვით სახელმწიფოები 4 ძირითად კატეგორიაში თავსდება: 1. ემბრიონული ფაზა - ის ქვეყნები (მაგალითად, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი და სხვ.), სადაც სოციალური საწარმოები ფეხს ახლა იკიდებენ და ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებიან; 2. პროგრესის ფაზა - ქვეყნები, სადაც მწყობრი განვითარება შეინიშნება ამ სექტორის კუთხით და გადაწყვეტილების მიმღები პირები უფრო მეტ დროსა და ყურადღებას უთმობენ ამ სფეროს (მაგალითად, გერმანია, ავსტრია). ეს ნაწილობრივ ევროკავშირის პროგრამების მიერ არის გამოწვეული, რომელიც უკანასკნელი ათწლეულია უფრო მძლავრ მხარდაჭერას უცხადებს სოციალური მეწარმეობის სფეროს; 3. კონსოლიდაციის ფაზა - ქვეყნები, სადაც ამ სფეროს ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგმულია, თუმცა არ არის დასრულებული (მაგალითად, შვედეთი, ფინეთი, დანია); 4. ინსტიტუციონალიზაციის ფაზა - აქ იმყოფებიან ის სახელმწიფოები, რომელთაც ყველაზე გამართული საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ბაზა გააჩნია სოციალური მეწარმეობის კუთხით (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, საფრანგეთი).

¹⁹Government Support to the Social Enterprise Sector: Comparative Review of the Policy Frameworks and Tools, Natalia Agapitova, Belén Sanchez and Elaine Tinsley, World Bank Group, June, 2017, pg. 11

ამ კონცეფციის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ეკოსისტემის სამი ძირითადი საყრდენის გარშემო არსებული მდგომარეობა ევროპის მასშტაბით და კარგად გამოვკვეთოთ სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობა და როლი ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და გაუმჯობესებაში.

სამართლებრივი და პოლიტიკური აღიარება

ევროკავშირის წევრი ქვეყნები სოციალური მეწარმეობის განვითარების შესახებ სტრატეგიებისა თუ კანონმდებლობის შექმნისას ევროკავშირის საერთო პოლიტიკით ხელმძღვანელობენ, პრაქტიკული მიდგომები კი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთი მათგანი სოციალურ ეკონომიკას ფართო მაკროეკონომიკური განვითარების ნაწილად მოიაზრებს და განიხილავს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელს (მაგალითად, შოტლანდია, პოლონეთი), რაც არ გამორიცხავს სოციალური საწარმოების შესახებ ცალკეული პოლიტიკისა თუ სტრატეგიების არსებობას. ხოლო ქვეყნების მეორე ჯგუფისათვის სოციალური ეკონომიკა შედარებით ახალი ფენომენია და უფრო მეტად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს უკავშირდება (მაგალითად, ბულგარეთი).²⁰

სამართლებრივი რეგულაციების თვალსაზრისით, ევროკავშირის ქვეყნებმა განსხვავებული მიდგომები აირჩიეს. ქვეყნების დიდი ნაწილი (მაგალითად, ესპანეთი, იტალია, სლოვენია, სლოვაკეთი და სხვ.) არეგულირებს სამართლებრივად, ხოლო არიან ქვეყნები, რომლებიც არასავალდებულო პოლიტიკით განსაზღვრავენ სოციალური მეწარმეობის განვითარებას (მაგალითად, ხორვატია); მიდგომები განსხვავდება სამართლებრივი სტატუსის რეგულირების კუთხითაც, კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სოციალური საწარმოს სტატუსის მიღების მექანიზმი (სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით არსებულ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ დამატებით მიიღონ სოციალური საწარმოს სტატუსი), ხოლო სხვაგან სოციალური საწარმო უნდა დაფუძნდეს სპეციალურად საამისოდ არსებული სამართლებრივი ფორმით (არის სპეციალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც მთლიანად სოციალური საწარმოს სპეციფიკასაა მორგებული).

ევროპული ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური საწარმოების პოლიტიკური აღიარება მნიშვნელოვანწილად გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე როგორც სოციალური საწარმოების დიდი ტრადიციის მქონე ქვეყნებში, ისე იქაც, სადაც სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალი ფენომენია. ამ ქვეყნებში სოციალური საწარმოები პოლიტიკურად აღიარეს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი საშუალებით. პოლიტიკური აღიარების ინსტრუმენტები მოიცავდა კონკრეტული სამინისტროების ფარგლებში სპეციალური დეპარტამენტებისა და სტრუქტურების შექმნას ცენტრალურ დონეზე (მაგალითად, სლოვაკეთი, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი) ან რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე (მაგალითად, დანია და ჰოლანდია), რომლებიც ან სოციალური საწარმოების ხელშეწყობაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, ან უფრო ფართოდ სოციალური ეკონომიკის განვითარებაზე (მაგალითად, საფრანგეთი და

²⁰სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა: ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა, ეკატერინე დანელია, მარიამ ლაცაბიძე, ნინო სამსონიძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, ხელმისაწვდომია: http://civilin.org/pdf/Social_Enterprises_and_their_Ecosystem.pdf

ესპანეთი).²¹ იმავდროულად, ზოგიერთმა ქვეყანამ შეიმუშავა ეროვნული ან რეგიონული/მუნიციპალური პოლიტიკური სტრატეგიები, რომელიც სოციალური ეკონომიკის ან სოციალური საწარმოების განვითარებას ეხებოდა, რამაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო სოციალური საწარმოების როლის აღიარებას ამ ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა ქვეყნებმა სოციალური ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარების განსხვავებული ფორმები აირჩიეს, ესენია: კონცეფცია, სტრატეგია, ეროვნული პროგრამა და სხვ. მაგალითად, ბულგარეთსა (სოციალური ეკონომიკის ეროვნული კონცეფცია) და პოლონეთში (სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა) მსგავსი ტიპის დოკუმენტები, ზოგადად, სოციალური ეკონომიკის განვითარებას ეხება და მოიცავს სოციალური ეკონომიკის ყველა აქტორს, მათ შორის, სოციალურ საწარმოებსაც. შოტლანდიასა და ხორვატიაში კი შექმნილი ეროვნული სტრატეგიები კონკრეტულად სოციალურ საწარმოებზეა მიმართული. გამონაკლისს წარმოადგენს ესტონეთი, სადაც სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური მეწარმეობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ესტონეთისათვის სოციალური მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის არსებულ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული გეგმაა.²²

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სოციალური საწარმოების პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარების ხარისხი ევროკავშირის ქვეყნების (და არამხოლოდ) მაგალითზე:²³

აღიარების ხარისხი	ქვეყნები
პოლიტიკურად და სამართლებრივად აღიარებულია - მაღალი ხარისხის აღიარება	ირლანდია, იტალია, დიდი ბრიტანეთი
სოციალური ეკონომიკის/სოციალური და სოლიდარობის ეკონომიკის კუთხით გამოწვევა	ბელგია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი
არც ისე ხშირად გამოყენებული - ნაკლები სივრცე, რომლის მიზეზია ტრადიციული კეთილდღეობის ინსტიტუტების არსებობა	ავსტრია, დანია, ფინეთი, გერმანია, ისლანდია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი
პოლიტიკურად და სამართლებრივად აღიარებული, მაგრამ ვიწრო გაგება (სამუშაო ინტეგრაცია) - ვიწრო თვითაღიარება	ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ფინეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი, შვედეთი
გამოწვევები, რომელიც უკავშირდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციის	კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ისლანდია, მონტენეგრო, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი

²¹Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

²²იქვე.

²³იქვე.

კონცეფციებს	
მზარდი აღიარება	ალბანეთი, მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი

რესურსებზე ხელმისაწვდომობა

სოციალური საწარმოების მიმართ გაზრდილმა ინტერესმა სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში გააჩინა ახალი ინსტრუმენტები, პროექტები და ინსტიტუტები, რომელთა უმთავრეს მიზანს სოციალური საწარმოებისათვის საწყისი კაპიტალის შეთავაზება, სტარტაპების დახმარება და მათი კონსოლიდაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა. გარდა ამისა, სოციალური საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა მცირე და საშუალო ბიზნეს სტარტაპებისთვის შექმნილი მექანიზმებიც. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ტიპის ინსტრუმენტები თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში უკვე არსებობს, მათი ხარისხი, თანმიმდევრულობა, ეფექტურობა და მასშტაბი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. გრანტებისა და სუბსიდიების მექანიზმი ერთ-ერთია ამ შემუშავებულ ზომათაგან, რომელიც სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში.²⁴ თუმცა ქვეყნების პრაქტიკა განსხვავდება არამხოლოდ საგრანტო სქემებისა და სუბსიდიების ინტენსიურობის მიხედვით, არამედ დახმარების ტიპის, მიზნობრიობის, ბენეფიციარი ორგანიზაციებისა და მართვის ზომების მიხედვითაც. სახელმწიფო დახმარების ძირითადი ტიპები მოიცავს საჯარო გრანტებს ახალი სოციალური საწარმოების დაფუძნებისათვის, სუბსიდიებს, საგადასახადო შეღავათებს იმ სოციალური საწარმოებისათვის, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების დამსაქმებლები არიან. აქ იგულისხმება ინკუბატორებისა და ბიზნესინოვაციის ცენტრების სუბსიდირებაც, იდეების კონკურსები და სხვ.

ევროპული ქვეყნების პრაქტიკა განსხვავდება იმის მიხედვითაც, სოციალური საწარმოებისათვის რომელ დონეზეა უზრუნველყოფილი ეს დახმარება: ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, თუ სამივეზე ერთდროულად. ეროვნულ დონეზე არსებული პროგრამების მაგალითია ავსტრია და გერმანია. თუმცა ევროპული ქვეყნების გამოცდილების სინთეზურ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ გამოკითხული ქვეყნების უმრავლესობას სოციალური საწარმოებისა და სოციალური ინოვაციების განვითარებისათვის ადგილობრივ მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობა გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხად მიაჩნია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ევროპული ქვეყნების შედარებითი ანალიზი, სოციალური საწარმოებისთვის საწყისი კაპიტალისა და სხვა ძირითად ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით:²⁵

²⁴Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

²⁵Ibid.. pg. 73

მხარდაჭერის ტიპები	არსებობს შეზღუდვების გარეშე	არსებობს შეზღუდვებით	არ არსებობს
გრანტები და სუბსიდიები საჯარო ინსტიტუციებისგან და ევროპული ფონდებისგან	ავსტრია, ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, პოლონეთი	ბელგია, კვიპროსი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი	ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, დანია, საბერძნეთი, უნგრეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი
გრანტები და სხვა მხარდაჭერა კერძო აქტორების, ფონდებისა და სხვა ორგანიზაციების მხრიდან (დაინტერესებული მხარეები)	ავსტრია, ბელგია, ხორვატია, ჩეხეთი, გერმანია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი	ბულგარეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი	კვიპროსი, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, რუმინეთი, სლოვენია, შვედეთი
კერძო და საჯარო მხარდაჭერა ინკუბატორებისა და ბიზნეს ინოვაციის ცენტრებისგან	ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, ესპანეთი	ხორვატია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი	ბულგარეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი

სხვა ფისკალური ბენეფიტების კუთხით, აღსანიშნავია: გაუნაწილებელი მოგების კორპორატიული გადასახადისგან გათავისუფლება, დღგ-გან გათავისუფლება ან შემცირებული განაკვეთი, სოციალური დაზღვევის ხარჯების შემცირება ან დაფარვა სუბსიდიებით, კერძო და/ან ინსტიტუციური დონორებისთვის გადასახადების შემცირება.

განათლება, კვლევა და უნარები

კვლევა, განათლება და უნარების განვითარება სოციალური საწარმოების აღიარებისა და ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, განსაკუთრებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის. ამ მიმართულებით არსებული გამოცდილება ძალიან იმედისმომცემია, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება სხვადასხვა აქტორს შორის ურთიერთთანამშრომლობა და სოციალური მეწარმეობის განზომილების შეტანა სამეწარმეო განათლებაში.

ამ მიმართულებით ესტონური გამოცდილება, შეიძლება ითქვას, რომ ერთერთი წამყვანია, რადგან უამრავი ინიციატივა და პოლიტიკა არსებობს, რომლებიც სოციალური მეწარმეობის განათლებას ეხება. მაგალითად, ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეწარმეო პროგრამა -

Edu&Tegu (2016-2020). ეს პროგრამა მიზნად ისახავს სკოლებში სამეწარმეო აზროვნებისა და მეწარმეობის განვითარებასა და გაძლიერებას ყველა დონეზე. პროგრამის ფარგლებში არსებობს სამეწარმეო განათლების პროგრამა პროფესიული სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის. მისი ერთ-ერთი მოდული კონკრეტულად ეხება სოციალურ მეწარმეობას. ამასთან, ტალინის უნივერსიტეტს აქვს სოციალური მეწარმეობის სპეციალური სამაგისტრო პროგრამა, რომელიც 2018 წლიდან ფუნქციონირებს. ეს პროგრამა იყენებს პროექტებზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკასა და ხელს უწყობს სტუდენტებს, დააარსონ საკუთარი სოციალური საწარმოები.²⁶

ხორვატიაში 2012 წლიდან ზაგრების უნივერსიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს სრულ სალექციო კურსს სახელწოდებით, „სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაცია“. 2017-2018 წლებში სოციალური სამუშაოს სწავლების ცენტრი ახალგაზრდებს სთავაზობდა საბაკალავრო პროგრამას „სოციალური ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა“. აღსანიშნავია რომ, ესტონეთისგან განსხვავებით, ხორვატიაში სოციალური მეწარმეობა ძირითადად ინტეგრირებულია სხვადასხვა ფაკულტეტის სალექციო კურსებში.

ლატვიაში არსებობს სოციალური ინოვაციების ცენტრი,²⁷ რომელიც სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კვლევასა და პროექტს ახორციელებს.

სოციალური საწარმოებისთვის განათლებისა და უნარების განვითარების მიმართულებით ევროპულ ქვეყნებში, ფორმალური ინსტიტუტების გარდა, ხელმისაწვდომია არაფორმალური პროგრამებიც. მაგალითად, **სლოვენიაში** რეგიონული განვითარების სააგენტოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ კუთხით. სლოვაკეთში განვითარდა კონკრეტული რეგიონული სტრუქტურა, რომელიც სოციალური საწარმოების განვითარებაზე მუშაობს. ეს პროგრამები, თეორიული ცოდნის გადაცემის გარდა, ხაზს უსვამს ისეთი სპეციალური უნარ-ჩვევებისა და თანამშრომლობის (ქსელების) განვითარების აუცილებლობას სოციალური მეწარმეებისა და მენეჯერებისათვის, როგორცაა: ბიზნეს და ორგანიზაციული განვითარება, კომუნიკაცია და ლიდერობის უნარ-ჩვევები და ა.შ. სხვადასხვა ტრენინგპროგრამას ხშირად თანსდევს შესაბამისი კონკურსები და ჯილდოები სოციალური საწარმოებისათვის. მსგავსი აქტივობები ნაწილობრივ მოიაზრებს სახელმწიფო ინსტიტუტებისგან ფინანსურ მხადაჭერას, შესაძლო დონორებთან დაკავშირებასა და ბიზნესგეგმის განვითარებას.²⁸

²⁶სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა: ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა, ეკატერინე დანელია, მარიამ ლაცაბიძე, ნინო სამსონიძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, ხელმისაწვდომია: http://civilin.org/pdf/Social_Enterprises_and_their_Ecosystem.pdf

²⁷ Social Innovation Centre, Latvia, December, 2018, available at:

http://www.ensie.sk/documents/presentation/04/2018-12-05_social_innovation_centre_latvia.pdf

²⁸Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

სოციალური საწარმოები საქართველოში

სოციალურ საწარმოთა ალიანსის მიხედვით, საქართველოში 100-მდე მოქმედი სოციალური საწარმოა, რომელთა პროფილი მრავალფეროვანია, თუმცა მათი უმრავლესობა (64%) დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით არის შექმნილი; სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას საწარმოთა 15% ისახავს მიზნად; განათლების მიზნით შექმნილია საწარმოთა 8% და ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის თვითრეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ასევე 8% საქმიანობს. საწარმოების მხოლოდ 3,5% არის გარემოსდაცვითი მიზნებით შექმნილი.²⁹ საქმიანობის ტიპის მიხედვით, სოციალურ საწარმოთა 57% ქმნის გარკვეულ პროდუქციას, ხოლო 43% სერვისის მიმწოდებელია. იურიდიული ფორმის მიხედვით, საქართველოში სოციალური საწარმოების უმეტესობა ოპერირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით (ა(ა)იპ). საწარმოთა 25% შ.პ.ს-ად არის რეგისტრირებული, ხოლო მხოლოდ 3% კოოპერატივის ფორმით საქმიანობს ან სოციალურ ბიზნესს ინდ.მეწარმის სტატუსით ახორციელებს.

სოციალური საწარმოების ეკოსისტემის გამოწვევები

პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარება

საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტი, კონფერენცია ან სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ მეწარმეობასა და სოციალური საწარმოების სტატუსს და დეფინიციებს. სოციალური მეწარმეობის განვითარების შესახებ ფრაგმენტულ ჩანაწერებს ვხვდებით სხვადასხვა გადამკვეთი სფეროს სტრატეგიებში (მაგალითად, „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“).³⁰

აღსანიშნავია, რომ სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ არსებობს კანონპროექტი, რომელსაც რამდენიმე წელია აქტიურად ადვოკატირებენ სფეროში მოქმედი ორგანიზაციები, თუმცა ამ დრომდე სფეროს სამართლებრივი რეგულირება არ მომხდარა. შესაბამისად, არ არსებობს სოციალური საწარმოს ოფიციალური დეფინიცია და განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელიც ართულებს სოციალური მეწარმეობის სექტორის გარშემო სტატისტიკური მონაცემების წარმოებას და მისი წვლილის გაზომვას საერთო საყოველთაო დოვლათის შექმნაში; სხვა აქტორების მხრიდან სოციალური საწარმოების უფრო ფართო აღიარებასა და კონკრეტული, საჭიროებებზე მორგებული მექანიზმების შეთავაზებას; საწარმოებს დამატებით ბარიერებს უქმნის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, არამხოლოდ საჯარო, არამედ კერძო ინიციატივების მხრიდან და სხვ.

²⁹ სოციალური მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა, ეკა დათუაშვილი, საქართველოს სტრატეგიული განვითარების და კვლევების ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: http://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf

³⁰ „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა

სოციალური საწარმოებისთვის საჯარო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მკვეთრად შეზღუდულია, რადგან სამეწარმეო მიზნებისთვის ან/და მეწარმე სუბიექტებზე გრანტის გაცემა კანონმდებლობის მიერ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დაშვებული (მაგალითად: სახელმწიფო პროგრამის „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში არსებული საგრანტო კომპონენტი; ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტი). გარდა გრანტებზე ხელმისაწვდომობისა, სოციალური მეწარმეობის მიმართულება და მისი თავისებურებები არ არის ასახული სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში, რომელიც განკუთვნილია მეწარმე სუბიექტებისთვის და შესაბამისად, არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით არსებული სოციალური საწარმოები ვერ იღებენ მონაწილეობას ამგვარ პროგრამებში. ასევე, არ არსებობს სხვა დამატებითი ფისკალური ბენეფიტები, როგორცაა ევროპული პრაქტიკის მიხედვით, საჯარო შესყიდვების განხორციელებისას სოციალური მიზნობრიობის კრიტერიუმისა და სოციალური მეწარმეობის თავისებურებების გათვალისწინება, კერძო კრედიტებზე ხელმისაწვდომობა და სხვ.

განათლება, კვლევა და უნარები

სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა, რომ მეწარმეობის უნარების სწავლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ინიცირებული პროექტები, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებაზე, ინოვაციების და მეწარმეობის მხარდასაჭერი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებაზე, ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკურ მხარდაჭერაზე, კვლევები და განვითარების (R&D) სექტორის გაძლიერების ხელშეწყობაზე, ფინანსებთან წვდომის მხარდაჭერასა და საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებაზე ინოვაციების, ტექნოლოგიების და კვლევების განვითარებისათვის, ნაკლებად მოიაზრებს სოციალური მეწარმეობისა და საწარმოების ხელშეწყობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო არ დგამს ხელშესახებ ნაბიჯებს სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, სოციალური პროდუქციის პოპულარიზაციისთვის. ასევე, სოციალური მეწარმეობის შესახებ სწავლება აკადემიური კურიკულუმის ნაწილად არ არის მოაზრებული.

სხვა გამოწვევები:

საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია ცნობიერება სოლიდარული და სოციალური ეკონომიკის შესახებ. შესაბამისად, სოციალური ეკონომიკის აქტორებთან დაკავშირებით, როგორცაა სოციალური საწარმო, კოოპერატივი, ფონდები და ასოციაციები, არ არსებობს საერთო მიდგომა და განვითარების ხედვა.

სოციალური მეწარმეობის განვითარება ინტერ-სექტორალური და გადამკვეთი საკითხია. სოციალური მეწარმეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს, რომელიც ჰოლისტურად, ყოვლისმომცველად და გრძელვადიანად განსაზღვრავს სახელმწიფო ხედვას, სოციალურ ეკონომიკაში სოციალური საწარმოების წვლილს, წარმატების განმსაზღვრელ ინდიკატორებსა და მოსალოდნელ სოციალურ შედეგებს.

სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ოფიციალური განმარტების არარსებობა კიდევ უფრო მეტად ართულებს სხვა აქტორების მხრიდან სოციალური საწარმეობის აღიარებას. ამასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება რთულდება, რაცამ მიმართულებით მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებას შეუძლებელს ხდის.

რეკომენდაციები

სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებები

I მიმართულება: პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარება

პირველი პრიორიტეტი: უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, შეიქმნას სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებისთვის უწყებათაშორისი დიალოგის პლატფორმა, ერთგვარი კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც ასევე გაართიანებს სხვა, ამ სფეროთი დაინტერესებულ აქტორებს, მათ შორის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თავად სოციალურ საწარმეებს, რათა მონაწილეობითი პრინციპის გათვალისწინებით წარმართოს დიალოგის პროცესი და საჭიროებებზე დაფუძნებით შეიქმნას პოლიტიკური ან/და სამართლებრივი აღიარების ოფიციალური დოკუმენტი. უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის შექმნის აუცილებლობა გამომდინარეობს სოციალური მეწარმეობისა და საწარმეობის ბუნებიდან, რადგან მათ გააჩნიათ მრავალფეროვანი მიზნები (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სოციალური საწარმეობის დანახვა, როგორც სხვადასხვა უწყებას შორის გამჭოლი სფეროსი, რადგან სოციალური საწარმეობის განვითარება არ წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული დარგობრივი ინსტიტუციის კომპეტენციას.

მეორე პრიორიტეტი: აუცილებელია, ცენტრალურ დონეზე განხორციელდეს სოციალური ეკონომიკის და სოციალური მეწარმეობის შესახებ ფართო პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება და შემდგომში ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, სექტორის განვითარების მხარდასაჭერად. ამისათვის, აუცილებელია გაიმართოს საჯარო კონსულტაციების სერია სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლებს შორის, რისთვისაც ზემოთაღნიშნული საკოორდინაციო მექანიზმის გამოყენება და პოლიტიკის დიალოგის პლატფორმის შექმნა, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. ამასთან, პოლიტიკური ან სამართლებრივი აღიარების პროცესი გააჩენს სოციალური საწარმეობის ერთიან, შეთანხმებულ დეფინიციას, რაც ამ სფეროში მოქმედი ყველა მხარისთვის ცხადი ორიენტირი გახდება, საკუთარი საქმიანობის უკეთ განსახორციელებლად.

მესამე პრიორიტეტი: მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმეობის დეფინიციების დამკვიდრება ქართულ საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუციონალურ ჩარჩოში, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორის გარშემო ერთიანი გაგების ჩამოყალიბებას, გაამარტივებს სოციალური საწარმეობისთვის გარემოში ოპერირებას და ხელსაყრელ პირობებს შექმნის მათი მდგრადი განვითარებისთვის. ამასთან, სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა უფრო

ზუსტი სტატისტიკის წარმოების ამ სექტორთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მომავალში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა თუ სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას.

II მიმართულება: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა

მეოთხე პრიორიტეტი: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, მნიშვნელოვანია, არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენებით, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სოციალური საწარმოების ფინანსურ მდგრადობას. უპირველესად, სოციალური მეწარმეობის მიზნებისთვის და სოციალური საწარმოებისთვის გრანტის მიღების უფლების საკანონმდებლო აღიარება. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი სხვადასხვა დაფინანსების ნაწილში სოციალური საწარმოების დაშვება (პოლიტიკური ან სამართლებრივი აღიარებისა და დეფინიციის განსაზღვრის შემდეგ) და სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება.

მეხუთე პრიორიტეტი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან საკუთარი სოციალური პროგრამების დაგეგმვისას, სოციალური საწარმოების სპეციფიკის გათვალისწინება. მათ მიერ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას, ბიუჯეტის დაგეგმვისას, სოციალური საწარმოებისა და მეწარმეობისთვის პროგრამული მიმართულებების გათვალისწინება, რომელიც საერთო სოციალურ და ეკონომიკურ მიზანს მოემსახურება.

მეექვსე პრიორიტეტი: სახელმწიფოს მხრიდან ინტერსექტორალური თანამშრომლობისა და სოციალური ეკონომიკის სხვადასხვა აქტორებს შორის (როგორცაა, მაგალითად, კოოპერატივები) სინერგიების ხელშეწყობა. ეს ასევე ხელს შეუწყობს სოციალური ეკონომიკის შესახებ ფართო გააზრებას და სოლიდარული ეკონომიკის სარგებლიანობის უკეთ დანახვას.

III მიმართულება: განათლება, კვლევა და უნარები

მეშვიდე პრიორიტეტი: ფართო ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება სახელმწიფოს მხრიდან, ერთის მხრივ, სწავლებისა და ინფორმირების კუთხით, მეორეს მხრივ - სოციალური საწარმოების პროდუქციის პოპულარიზაციისთვის - მაგალითად, „იყიდე სოციალური“-ის მსგავსი ინიციატივების განხორციელება. ეს ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების უკეთეს ხილვადობას. საზოგადოებრივი ჩართულობისა და ინტერესის ზრდა, გამოიწვევს ახალი და ხარისხიანი იდეების გენერირებას. აგრეთვე, გაიზრდება შანსი ამ სექტორში ჩაერთონ მაღალი პოტენციალის მქონე ახალგაზრდები, რაც მათთვის ეფექტური თვითდასაქმების საშუალებაც იქნება.

მერვე პრიორიტეტი: მნიშვნელოვანია, სოციალური მეწარმეობის შესახებ ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოებაში სოციალური ეკონომიკის ცნობიერების დონის ამაღლება. საჭიროა გატარდეს ღონისძიებები, განათლების სამინისტროს მხრიდან აკადემიურ სწავლებაში სოციალური ეკონომიკის, მეწარმეობის თეორიული სწავლების დანერგვის მიმართულებით. ასევე, არაფორმალური

განათლების კუთხით, სხვადასხვა პროგრამები (მათ შორის, ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ შემუშავებული ტრენინგ პროგრამები) უნდა მოიცავდეს სოციალური მეწარმეობის, როგორც გადამკვეთი კომპეტენციის შესახებ განათლების ხელშეწყობას.

საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოაღნიშნული საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის განვითარებაში აქტიურ ჩართვას საწყის ეტაპზე. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ამგვარი აქტივობა დახმარებისა და განვითარებისთვის გამოყოფილი ფულის ეფექტიანი ინვესტირების საშუალებაც იქნება, სხვა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასთან ერთად.

დასკვნის მაგიერ

საქართველოში, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების განვითარებისთვის აუცილებელი ეკოსისტემის არსებობაზე მსჯელობა, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან 2010 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს. ამ მიმართულებით მრავალი ინიციატივა თუ პროექტი ხორციელდება, რომლის უმთავრეს მიზანს სოციალური საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა წარმოადგენს. ბოლო ათწლეულის მანძილზე ამ სექტორის მნიშვნელობა იზრდება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. შესაბამისად, ამ ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა არსებული მდგომარეობის კიდევ ერთხელ გააზრება და იმ მიმართულებებზე უფრო სიღრმისეული მსჯელობის დაწყება, რაც უპირველეს ამოცანად დგას, სოციალური საწარმოების განვითარებისთვის ქვეყანაში.

აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში, შევეცადეთ გვეჩვენებინა ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც სახელმწიფოს როლი ნათლად იკვეთება, წარმოვადგინეთ ზოგადი რეკომენდაციები სამი ძირითადი მიმართულებით, ესენია: სოციალური საწარმოების პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარება, მათი რესურსებზე ხელმისაწვდომობა და სოციალური მეწარმეობის და საწარმოების შესახებ განათლების, კვლევისა და უნარების გაუმჯობესება.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ყოვლისმომცველი, სისტემური და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის საქართველოში, არსებითად ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების სოციალური და ეკონომიკური მიზნების უკეთ განხორციელებას. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ კვლავ გაგრძელდება აქტიური მუშაობა სახელმწიფოს სტრატეგიის შემუშავებისთვის, სახელმწიფო უწყებების, სოციალური საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის უშუალო და აქტიური მონაწილეობით.